ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №782379

ნომერი: AR1143790

თარიღი : 03.07.2013

გაცემის თარიღი : 10.07.2013

გაცნობის თარიღი : 12.07.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება გლდანი , მიკრო/რაიონი "ა" , 58-ე კორპუსისა და ფორე მოსულიშვილის ქუჩის

თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. IV კვ. კორ. 18 ბ. 35

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ჯაბუა პ/ნ 19001001266

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

## გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად რომლითაც მოთხოვნილი გაქვთ, #01.11.12.017.057 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის კორექტირება, გაცნობებთ, იმისათვის, რომ არქიტექტურის სამსახურმა იმსჯელოს თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირებასთან დაკავშირებით საჭიროა დააკონკრეტოთ, აღნიშნული კორექტირების საფუძველი და წარმოადგინოთ: ტოპო–გეოდეზიური ანაზომის DWG ფაილები, სადაც ნათლად გამოჩნდება აზომვით ნახაზზე დატანილი შენობა–ნაგებობები, ასევე, დასაკორექტირებელი მიწის ნაკვეთის არსებული და კორექტირებული საზღვრები (გადაფარვის გარეშე), ფართობის მითითებით,თან დაურთოთ აღნიშნული შენობა–ნაგებობის ფოტოსურათები. აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით საპროექტო საზღვრები გადადის სატრანსპორტო ზონა (ტზ1) –ში,სადაც აკრძალულია ყველა სახის მშენებლობა.(იხ. დანართი)

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.